სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის 2020 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის
შესაბამისად, 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით გაცემული
საჯარო ინფორმაციის თაობაზე

2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 1 დეკემბრის განმავლობაში:

ა) საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილი იქნა 1011 განცხადების საფუძველზე, მათ შორის დაკმაყოფილდა 1004 ინფორმაციის კონფიდენციალურობიდან გამომდინარე არ დაკმაყოფილდა 7 განცხადება;

ბ) საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე განცხადება არ შემოსულა;

გ) საქსტატის კოლეგიურ ორგანოს – საქსტატის საბჭოს, სხდომის დახურვის თაობაზე გადაწვეტილება არ მიუღია;

დ) საქსტატი უფლებამოსილების ფარგლებში აწარმოებს საჯარო მონაცემთა შემდეგ ბაზებს: 1) შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის ბაზა, 2) სტატისტიკური ბიზნეს რეგისტრი;

ე) საქსტატი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. პერსონალური მონაცემები დაცულია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებებით. პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას საქსტატი ხელმძღვანელობს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით;

ვ) საქსტატის მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემები კონფიდენციალურია და მესამე პირებზე არ გადაცემულა;

ზ) 01/12/2020 – 01/12/2021 პერიოდის განმავლობაში, საქსტატის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევას და დისციპლინური სახდელის დაკისრებას ადგილი არ ჰქონია;

თ) ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას საქსტატი ხელმძღვანელობდა „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით;

ი) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა;

კ) მიმდინარე წლის განმავლობაში, ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემაზე, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის გამო მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯი საქსტატს არ გაუღია და მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდა არ დაკისრებია.